საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1468
03/05/2022

1468-21-2-202205031707

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8144 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა გორაში მდ. კვინისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ, მდ. კვინისწყლის მარჯვენა მხარეს ფიქსირდება მეწყრული სხეული, რომლის ძირის გასწვრივ (დაახლოებით 640 მ-ში) დაგეგმილია 320 მ სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა. ვინაიდან, მომავალში შესაძლებელია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა საჭირო გახდეს საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედაც, მეწყრული სხეულის ძირის გასწვრივ მთელ გაყოლებაზე, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში;
- დოკუმენტში არ არის მითითებული თუ საიდან მოხდება ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, კერძოდ, ქვაყრილში გამოსაყენებელი ფლეთილი ლოდების შემოტანა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო